განმარტება

დამატებით ბიბზავნით სამართლებრივ განმარტებას, მასზედ რომ არ გაბვაჩნია არანაირი სურვილი და უფლება მოვახდინოთ დემონტაჟი არსებული შენობის I სართულზე სარდაფში ჩასასვლელი კიბისა და მოაჯირის. განაცხადში წარმოდგენილ არქიტექტურულ პროექტსა და ფოტო მონტაჟებში ზემოთ ხდენებულ კიბეზე და მოაჯირზე არ არის გათვალისწინებული არანაირი რეკონსტრუქცია.

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №629765

ნომერი: AR1122131

თარიღი : 04.04.2013

გაცემის თარიღი : 11.04.2013

გაცნობის თარიღი : 11.04.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქუთაისი პ.ინგოროყვას ქ. N 49

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი ტორაძე პ/ნ 60001000618

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- სამართლებრივი განმარტება

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2013 წლის 04 აპრილის #AR1122131 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას გაქვთ თუ არა თქვენს საკუთრებაში არ არსებული სარდაფში ჩასასვლელი კიბისა და მოაჯირის დემონტაჟის უფლება.

პასუხად გაცნობებთ, რომ "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი

სამუშაობი განეკუთვნება პირველი კლასის სამუშაოებს და საჭიროებს წერილობით დასტურს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურიდან. აღნიშნული წერილობითი დასტურის გარეშე I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის განხორციელება განიხილება როგორც უნებართვო მშენებლობა.
აქვე გაცნობებთ, რომ დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი. აქედან გამომდინარე, დემონტაჟზე თანხმობის მისაღებად სამსახურს უნდა მომართოს მესაკუთრემ ან/და უფლებამოსილმა პირმა. აღნიშნულ შემთხვევაში საჭიროა განაცხადი დარეგისტრირდეს –> "I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები"–>"ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი", ქმედებებში კი ირჩევთ "რეკონსტრუქცია"–ს.